# Rapport national / National report / Landesbericht / национальный доклад

GÉORGIE / GEORGIA / GEORGIEN / ГРУЗИЯ

The Constitutional Court of Georgia
Sakartvelos Sakonstitutsio Sasamartlo

langue maternelle / native language / Muttersprache / родной язык

# საკონსტიტუციო სასამართლოების თანამშრომლობა ევროპაში– არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

## I. საკონსტიტუციო სასამართლოები კონსტიტუციურ სამართალსა და ევროპის სამართალს შორის

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში კანონით არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ევროპის სამართალი, რადგან საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა.
2. არსებობს მაგალითები, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს ისეთ საერთაშორისო სამართლის წყაროებზე, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი; ორჰუსის კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოსდაცვით საკითხებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ.
3. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, არ არსებობს კონკრეტული კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აკისრებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ ვალდებულებას მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების შესახებ.
4. სასამართლოს პრაქტიკაზე მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს იურისპუდენციის ზეგავლენის ნიშნები არ შეიმჩნევა.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სისტემატურად მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპუდენციაზე. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ განცხადების უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ განცხადების უფლება კონსტიტუციურად დაცულია და მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის საქმეზე „ბაიათიანი სომხეთის წინააღმდეგ“, სარჩელის N23459/03).
6. შეუსაბამობის მაგალითები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის არ ვლინდება.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს იურისპუდენციის გამოყენების პრეცედენტი არ არსებობს. შესაბამისად, არც სხვა ეროვნული სასამართლოები ხელმძღვანელობენ აღნიშნული იურისპუდენციით.

8. არ არსებობს პრეცედენტი, სადაც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა მოახდინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპუდენციამ.

## II. საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის ურთიერთქმედება

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად მიმართავს, როგორც ევროპის (მაგ: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო), ასევე არა ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოების იურისპუდენციას (მაგ: აშშ–ს უზენაესი სასამართლო).
2. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული. არ არსებობს სხვა ქვეყნის მართლმსაჯულება, რომელიც იყენებს ქართულ ენას.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიმართავს სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების იურისპუდენციას სამართლის ყველა დარგში (სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საჯარო სამართალი).
4. ჩვენთვის უცნობია, აქვს თუ არა ზეგავლენა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს უცხო ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების იურისპუდენციაზე.

## III. ევროპული სასამართლოების ურთიერთქმედება საკონსტიტუციო სასამართლოების იურისპუდენციაში.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპუდენციაში ევროკავშირის სამართლის და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების მითითებებს არა აქვს ზეგავლენა საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპუდენციაზე.
2. საქართველოს არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს სამართლებრივი ვალდებულება გაითვალისწინოს ევროკავშირის სამართალი ან გამოიყენოს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს საქმეები. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ზეგავლენას არ ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოებს შორის ურთიერთობაზე.
3. საქართველოს არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს სამართლებრივი ვალდებულება გაითვალისწინოს ევროკავშირის სამართალი ან გამოიყენოს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს საქმეები. შესაბამისად, ერთის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და მეორეს მხრივ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისპუდენციებს შორის განსხვავებები, მნიშვენლოვან ზეგავლენას ვერ ახდენენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპუდენციაზე.